ხელშეკრულება #შს/22-080
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **21.03.2022 წელი**

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა" (ს/კ 202886010), წარმოდგენილი მისი კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის ნინო ჯორბენაძის (22.03.2019 წლის რწმუნებულება #1535) სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, სს „გრინვეი საქართველო" (ს/კ 404867006) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ებიტაშვილის მინდობილი პირის თეონა ჭკადუას (31.08.2021 წლის რწმუნებულება/მინდობილობა #210930318) სახით, მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6 (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების" და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

"ჩვენ, აღნიშნულ დოკუმენტზე ვიზირების განმახორციელებელი და ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე - 8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან".

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სს „საქართველოს რკინიგზის" სახსრებით, მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. (CPV71600000).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მის მფლობელობაში არსებულ აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრ(ებ)ში (აკრედიტაციის მოწმობა #GAC-IB-0271) განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული 22 (ოცდაორი) ცალი ავტოსატრანსპორტო საშუალების (M1 კატეგორია) ტექნიკური დათვალიერება/შემოწმება - გზისთვის ვარგისიანობის დადგენა (შემდგომში მომსახურება).

2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი სახელმწიფო ნომრებით განსაზღვრულია დანართი #1-ით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შემსყიდველისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **1320.00** (ათას სამასოცი ლარი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურებას განახორციელებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N 510 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N 511 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტი– „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების და 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების" მოთხოვნათა სრული დაცვით.

4.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მას აქვს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი საქმიანობა და გააჩნია ყველა ის საშუალება, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

4.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და აკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

4.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მასზედ რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება ჯეროვნად, შეუფერხებლად, დროულად, ხარისხიანად, სრულფასოვნად, დათქმულ დროსა და ადგილას.

4.5 განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია ხარისხისა და რაოდენობის თაობაზე. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და გონივრულ ვადაში აღმოფხვრას განხორციელებულ მომსახურებაში აღმოჩენილი/გამოვლენილი დეფექტი.

4.6 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
4.7 მომსახურების არაჯეროვანი განხორციელების შედეგად მიყენებულ ზიანს საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებს მიმწოდებელი.
4.8 მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ტექნიკისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

5. მომსახურების განხორციელების პირობები

5.1 მომსახურება განხორციელების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში მიყვანიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
5.2 მომსახურების მიმღებია: სს „საქართველოს რკინიგზა."
5.3 მომსახურების განხორციელების ადგილები თბილისის მიხედვით შესაბამისი კატეგორიის მითითებით განსაზღვრულია დანართით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ოპერატიული და რიგგარეშე მომსახურება.
5.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 5 (ხუთი) ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმება.
5.6 მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის შემდეგ, ინსპექტირების შედეგების მიხედვით გასცეს ელექტრონულად შევსებული ინსპექტირების ანგარიში აკრედიტაციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ფორმის შესაბამისად.
5.7 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების განხორციელების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები და პირობები და შემსყიდველის საკუთრებაში არსებული რომელიმე ავტომობილი/ავტოსატრანსორტო საშუალება ვერ დააკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ინსპექტირება არ ჩაითვლება დადებითად გავლილად მიმწოდებელი გასცემს ინსპექტირების ანგარიშს ხარვეზების მითითებით. ხარვეზების და პირობების აღმოფხვრის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს განმეორებით მიმართოს ინსპექტირების ჩასატარებლად.
5.8 შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ანგარიშში მითითებული ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებით ინსპექტირებაზე წარდგენა უნდა მოხდეს მიმწოდებლის ნებისმიერ სერვის ცენტრში პირველი ინსპექტირების დროს ხარვეზებისა და პირობების გამოვლენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის სერვის ცენტრში დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, განმეორებით განახორციელებს ავტოსატრანსორტო საშუალების შემოწმებას იმავე ინსპექტირების ცენტრში, რომელშიც ჩატარდა წინარე ინსპექტირება. აღნიშნული ვადის (30 კალენდარული დღე) გასვლის შემდეგ კი ინსპექტირება განხორციელდება საერთო საფუძველზე.
5.9 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ადმინისტრატორს წარმოადგენს: ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ზვიად ჯანიკაშვილი, ტელ:577 038298

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება შემსყიდველის მიერ ჩაბარებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ განხორციელებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.
6.1.1 შემსყიდველის მხრიდან, განხორციელებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:
- ტრანსპორტის განყოფილების უფროსი;
- ტრანსპორტის განყოფილების სპეციალისტი.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წინამდებარე ხელშეკრულების 5.6 პუნქტით გათვალისწინებული ინსპექტირების ანგარიში, ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, კონსიგნაციით.
7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.
7.4 ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტებია:
- მიღება ჩაბარების აქტი (დედანი);
- ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში (მუხლი 5.6);
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
7.5 შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

8. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებელის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის შეუფერხებელი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2 მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით განხორციელებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხალშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხალშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4 ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.6 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა მეორე მხარის პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მიმწოდებელს ამის შესახებ.

15.4 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისთვის.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

15.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.8 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

15.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილის გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

15.10 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

15.11 ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ,,მიმწოდებელი“ არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

15.12 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.13 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
სს ,,საქართველოს რკინიგზა"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15
ს/კ 202886010
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE09BG0000000128695301

ნინო ჯორბენაძე
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი"
სს „გრინვეი საქართველო"
ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6
ს/კ 404867006
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის #GE39BG0000000269401700
ტელ: 577 544421

თეონა ჭკადუა
დირექტორის მინდობილი პირი

Teona Chkadua

Digitally signed by Teona Chkadua
Date: 2022.03.21 17:36:48 +04'00'

	დანართი №1								
	ავტომობილის სახელმწიფო ნომერი	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა და მოდელი	ავტომობილის კატეგორია	სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი	ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	ტექ. დათვალიერების საფასური ერთ მანქანაზე	ავტომანქ. რომელთაც უწევს ტექ. დათვალ. წელიწადში 2-ჯერ	ავტომანქანის ადგილმდებარეობა	ავტომანქ. მფლობელი შესაბამის
1	NU-715-UN	ტოიოტა პრადო	M 1	2008	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
2	SP-115-SS	ტოიოტა ჰაილანდერი	M 1	2012	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
3	BB-704-CB	კია სერატო	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
4	HV 746 VH	ტოიოტა ჰაილანდერი	M 1	2011	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
5	NU-344-UN	ტოიოტა პრადო	M 1	2008	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
6	BB 703 CB	კია სსერატო	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
7	BB-922-CB	კია სორენტო	M 1	2010	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
8	FP 501 PF	კია სპორტეიჯი	M 1	2012	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
9	HH-742-PP	ჰიუნდაი IX35	M 1	2010	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
10	CC-703-MM	ტოიოტა ქამრი	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
11	VY 010 VV	ჰიუნდაი IX35	M 1	2010	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
12	US 959 SS	ჰიუნდაი ელანტრა	M 1	2012	სედანი	60		თბილისი	კმდ
13	KK 422 UU	კია სპორტეიჯი	M 1	2012	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
14	KK 332 UU	კია სპორტეიჯი	M 1	2011	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
15	KK-299-UU	კია სერატო	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
16	KK-311-UU	კია სერატო	M 1	2012	სედანი	60		თბილისი	კმდ
17	FL-976-LF	კია სერატო	M 1	2009	სედანი	60		თბილისი	კმდ
18	WH-811-HW	კია სერატო	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
19	HH-675-PP	კია სერატო	M 1	2010	სედანი	60		თბილისი	კმდ
20	CC 882 CO	ჰიუნდაი ელანტრა	M 1	2012	სედანი	60		თბილისი	კმდ
21	US 082 SS	კია სპორტეიჯი	M 1	2009	ჯიპი	60		თბილისი	კმდ
22	HH 915 PP	კია სპორტეიჯი	M 1	2009	ჯიპი	60		თბილისი	კმდ

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 18.03.2022 წელი

სს „საქართველოს რკინიგზის“ (ს/კ 202886010) მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური დათვალიერება/შემოწმება-გზისთვის ვარგისიანობის დადგენის მომსახურების გამარტივებული შესყიდვის გზით შერჩეულ პრეტენდენტთან სს „გრინვეი საქართველო” -სთან (ს/კ 404867006) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ზვიად ჯანიკაშვილი სახელი/გვარი ხელმოწერა

1	ხელშეკრულება №		3	ხელშეკრულების საგანი: ავტოსატრანსპრტო საშუალებების ტექდათვალიერება
2	კონტრაგენტი	სს ,,გრინვეი საქართველო"	4	მიმღები დეპ/სამ. კორპორატიული მართვის დეპარტამენტი

ხელშეკრულების რანგი	კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
	რანგი			რანგი		
	I □	II □	III □	I □	II □	III □

5	თანამდებობა	ავტოტრანსპორტის განყოფილების უფროსი		
		ხელშეკრულების ადმინისტრატორი		
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	
		ზვიად ჯინიკაშვილი		
	კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	დავით ბაბუნაშვილი		